დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

მიხეილ კაკაურიძის

2022-2023 წლის ანგარიში

- მითითებულ პერიოდში მონაწილეობა მივიღე 12 საკრებულოს სხდომის მუშაობაში და წევრის სახით საკრებულოს 4 კომისიაში, კერძოდ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო საკითხთა, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებში. შესაბამისი თანმიმდევრობით დავესწარი 12,11,7 და 3 კომისიის სხდომას და განვიხილეთ ჯამში 243 საკითხი.

- მოვამზადე და გადავაგზავნე საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე 5 საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტი კონკრეტული ინიციატივების თაობაზე. კერძოდ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებები ოპოზიციაზე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პოზიციის დათმობაზე და დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის აუცილებლობის შესახებ, ხოლო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესში განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის არეალების შერჩევის, მის ორ ეტაპად გაყოფის და გადამეტებული საცხოვრებელი ფართების მშენებლობის უფლების მინიჭებისთვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით 4 პროცენტის 6 პროცენტამდე გაზრდის თაობაძე. გავაჟღერე საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე სხვადასხვა შინაარსის, მაგრამ სამწუხაროდ ყოველი მათგანი რეალური-პრაქტიკული რეაგირების გარეშეა დარჩენილი.
- არაერთი შეხვედრა მქონდა ძირითადად გლდანის მოსახლეობასთან ადგილზე სამეურნეო საჭიროებებთან დაკავშირებული, როგორიცაა მიმდებარე მშენებლობებით მათი უფლებების დარღვევა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ბინათმესაკუთრეთა პროექტებით სარგებლობის საჭიროების, საფეხმავლო და საავტომობილო გზების მოასფალტების და სკვერის, სპორტული მოედნის თუ მოსაცდელების მოწყობის თაობაზე. ასევე მომართვები იყო ერთჯერადი ფინანსურ დახმარებაში და ოპერაციის თანადაფინანსებაში შუამდგომლობის თაობაზე. საკითხთა უმრავლესობა (გარდა სოციალური პროექტებისა) მიუხედავად ჩემი აქტიური მცდელობებისა გადაუწყვეტელი დარჩა.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობის შეთავაზება ზემოხსენებულ საკითხებთან მიმართებაში ან თუნდაც მიწის ნაკვეთის საკუთრების მქონე პირის უფლებრივი ზონირების თაობაზე საკუთრების ამონაწერით ინფორმირებულობის აუცილებლობასთან დაკავშირებით უმეტესწილად უპასუხოდ დარჩა.

- დავტოვე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს ფრაქცია შიგნით არსებული არაჯანსაღი სიტუაციიდან გამომდინარე, შიდაპარტიული არადემოკრატიულობისა და არა საქმეზე ორიენტირებული გარემოდან გამომდინარე. კონსულტაციები ვაწარმოე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თანამშრომლობის თაობაზე, რაზეც დროებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მაქვს მიღებული, ხოლო სხვა ოპოზიციურ ფრაქციაში გაერთიანებაზე ხელოვნური ბარიერი შექმნა საკრებულოს უმრავლესობამ კანონის სხვაგვარად ინტერპრეტირების შედეგად

საკრებულოს წევრი

(მიხეილ კაკაურიძე)